

ოფიციალურ დოკუმენტთა ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის
(პროექტი) შესაძლო გავლენა ქართულ სამართლებრივ სივრცეზე

(“24 დადებითი და უარყოფითი ელემენტის” ანალიზი)

ინფორმაციის მიღების უფლების კონვენციის დონეზე აღიარება და ევროპის საბჭოს მიერ ოფიციალურ დოკუმენტთა ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მიღება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. კონვენციის პროექტში მოცემული ზოგიერთი დებულება ცალსახად შეუწყობს ხელს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების დადებითად განმარტებას, თუმცა, მოიცავს საფრთხესაც, რომ მისმა ზოგიერთმა დებულებამ სრულიად ნეგატიურად იმოქმედოს ქვეყაში გამჭვირვალების სტანდარტებზე. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ კონვენციის გავლენას ჩვენს შიდა კანონმდებლობაზე „24 ელემენტთან“ მიმართებით.

1. ყველას უნდა ჰქონდეს გარანტირებული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის მოთხოვნის უფლება – კონვენციის დებულება, რომელიც ნებისმიერ პირს ანიჭებს ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის უფლებას, ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს.“ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ინფორმაციის თავისუფლება) თანახმად ყველას შეუძლია მოითხოვოს საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მიღება. კონვენციის ნორმა, რომლის თანახმად ნებისმიერ პირს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება უფრო გაამყარებს საქართველოს კანონმდებლობას;
2. არ არის საჭირო მოთხოვნის დასაბუთება – საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოთხოვნის დასაბუთების ვალდებულებას, არამედ პირიქით, არავის აქვს უფლება განმცხადებელს მოთხოვოს იმის განმარტება, თუ რატომ ითხოვს ინფორმაციას. ამ დებულების არსებობა კონვენციაში დადებითად უნდა შეფასდეს;
3. საჯარო მოხელეები უნდა დაეხმარონ განმცხადებლებს – საქართველოს კანონმდებლობა არ აკისრებს საჯარო მოხელეებს მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის ვალდებულებას. კანონმდებლობა, ასევე არ ითვალისწინებს მოხელეთა ქცევის კოდექსების არსებობას, რომლებითაც უნდა იყოს დადგენილი მოქალაქეთა დახმარების ვალდებულება. პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებები რეკვიზიტების მხრივ გაუმართავი განცხადების ავტორს არ მიუთითებენ ხარვეზის შესახებ და უბრალოდ უარს ამბობენ ამგვარი განცხადების განხილვაზე. უფრო მეტიც, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, თავის პრაქტიკაში ჰქონია შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებებმა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად განცხადებაში დასმული კითხვის ფორმულირება მოიშველიეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენციის მოცემული დებულება ცალსახად დადებითად იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობაზე;
4. ყველა განცხადების მიმართ თანაბარი მიდგომა უნდა არსებობდეს – ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, რომ ყველა განცხადების მიმართ უნდა არსებობდეს თანაბარი მიდგომა. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც იურიდიული პირების განცხადებებს საჯარო დაწესებულებები უფრო

მეტი ყურადღებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ვიდრე ფიზიკური პირების განცხადებებს, შესაბამისად, კონვენციის პროექტში ამ ნორმის მითითება დადებითად აისახება ქართულ კანონმდებლობაზე;

5. ინფორმაციის გამოთხოვა უფასოა. განმცხადებელს შესაძლოა დაეკისროს გადასახადი, მხოლოდ ინფორმაციის ასლის გადაღებისა და ინფორმაციის ადგილზე მიტანისათვის – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაცია უფასოა და ფასიანია მხოლოდ ინფორმაციის ასლის გადაღება. რაც შეეხება საფოსტო და ინფორმაციის ადგილზე მიტანის ხარჯებს, ასეთისათვის გადასახდელის დაკისრებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ასევე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდებიან განმცხადებლის მიერ პერსონალური მონაცემების გამოთხოვისას. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ უფასო უნდა იყოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასლის გადაღება. საია ცვლობს ამ შედავითის ეროვნულ კანონმდებლობაში დარწმუნებას, კარგი იქნება, თუკი ამგვარი გამონაკლისები კონვენციითაც იქნება გათვალისწინებული;
6. მმართველობა და ადმინისტრაცია ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გამჭვირვალების სტანდარტები ვრცელდება ყველა დონეზე, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე;
7. საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების ადმინისტრაციული ფუნქციები – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნები სრულად ვრცელდება, როგორც საკანონმდებლო, ასევე სასამართლო ორგანოებზე, ხოლო ადმინისტრაციული ფუნქციის ნაწილში ვრცელდება მთლიანად ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოქმედება.
8. საკანონმდებლო ორგანოების მთელს საქმიანობაზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება (მხოლოდ დამატებითი) – როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე სრულად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) და შესაბამისად, გამჭვირვალების სტანდარტების მოქმედება, როგორც ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების ნაწილში, ასევე საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელების ნაწილში. კონვენციის პროექტში გათვალისწინებული სტანდარტი, რომლის თანახმად, საკანონმდებლო ორგანოების მთელს საქმიანობაზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, მნიშვნელოვნად შეასუსტებს საქართველოში გამჭვირვალების ხარისხს.
9. სასამართლო ორგანოების მთელს საქმიანობაზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება (მხოლოდ დამატებითი) – როგორც საკანონმდებლო ორგანოების შემთხვევაში, ასევე სასამართლო ორგანოების შემთხვევაშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება სრულად ვრცელდება სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე, როგორც ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების ნაწილში, ასევე, მართლმსაჯულების განხორციელების ნაწილში. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წლების განმავლობაში იბრძოდა იმისათვის, რომ საქართველოში საკანონმდებლო ფუნქციის და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზეც გავრცელებულიყო გამჭვირვალების მოთხოვნა და

საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით¹ შექმლო ამ პოზიციის დამტკიცება. საქართველოსათვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუკი ამ სტანდარტის დაწვევა მოხდება ევროპული კონვენციის საფუძველზე;

10. საჯარო ფუნქციის განხორციელებულ კერძო პირების საქმიანობაზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება (მხოლოდ დამატებითი) – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კერძო პირებზე გამჭვირვალების ვალდებულება ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან (ამ დაფინანსების ფარგლებში), ან ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. დღემდე საქართველოში მუდმივი დავის საგანს წარმოადგენს ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების“ განხორციელებად. დღემდე არცერთი კერძო პირი არ ყოფილა მინიშნული ადმინისტრაციულ ორგანოდ, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მისი საქმიანობა წარმოადგენს საჯარო ფუნქციის განხორციელებას. ამრიგად, კანონით გათვალისწინებული ნორმის პრაქტიკაში ამოქმედება სირთულეებთან არის დაკავშირებული. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყველა დონეს ხმარობს იმისათვის, რომ იმ კერძო პირებზე, რომლების კანონმდებლობის თანახმად საქმიანობენ და თავისი შინაარსით საჯარო ფუნქციას ასრულებენ, გავრცელდეს გამჭვირვალების მოთხოვნები. საქართველოში არსებულ რეალობაზე კონვენციის ეს დებულება ცალსახად უარყოფიდა იმოქმედებს, ამ დებულების მიღების შემთხვევაში შეუძლებელი გახდება კერძო პირების გამჭვირვალების საკითხზე დავა და მათი საქმიანობა სრულიად დახურული გახდება. მითუმეტეს, რომ საქართველოში დამკვიდრდა სახელმწიფო ორგანოების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირების („ქართული არმიის განვითარების ფონდი“, „სამართალდამცავო ორგანოები სგანვითარების ფონდი“, შპს „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ სა სხვა.) დაფუძნების და მათთვის ფუნქციების ნაწილის გადაცემის პრაქტიკა;
11. „ოფიციალური დოკუმენტების“ ფართო განმარტება გულისხმობს ნებისმიერი ფორმით არსებულ ინფორმაციას – კონვენციის მოცემული დებულება საქართველოს კანონმდებლობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პრაქტიკაში ხშირად არის დავა იმის თაობაზე თუ რა ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს საჯაროდ. უკანასკნელ პერიოდში სააპელაციო სასამართლოს მიერ დაწესებული პრაქტიკის თანახმად, საჯარო ინფორმაციად მხოლოდ ის დოკუმენტი მოიაზრება, რაც დაწესებულების შესაბამის რეესტრშია ასახული. ამგვარმა განმარტებამ ისეთი შემთხვევებიც კი წარმოშვა, როდესაც დაწესებულება აცხადებდა, რომ იგი ფლობდა ინფორმაციას, მაგრამ არ გასცემდა იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია რეესტრში არ იყო ასახული. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენციის აღნიშნული ნორმა საქართველოს კანონმდებლობაზე ცალსახად დადებით გავლენას მოახდენს;
12. განმცხადებელს შეუძლია აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა, დედანში გაცნობის თუ ასლის მიღების ჩათვლით – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელს აქვს უფლება აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა, კონვენციის ეს დებულება მხოლოდ გაამყარებს კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას;

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსულან ტაბატაძე და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

13. გამოქვეყნების პროაქტიული ვალდებულება ძალიან სუსტი და ზოგადია – საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს გამოაქვეყნონ რაიმე სახის ინფორმაცია, ანუ სავალდებულო გამოქვეყნების ვალდებულება ჩვენს კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული. გამჭვირვალებისა და ინფორმაციის მარტივად მიღებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული გარკვეული ტიპის ინფორმაცია ავტომატურად საჯაროდ დაიხილოს და ნებისმიერ პირს შეეძლოს მისი ინტერნეტის ან რაიმე სხვა საშუალებით მიღება. კონვენციაში გამოქვეყნების პროაქტიული ვალდებულების ნათლად და კონკრეტულად გათვალისწინება საქართველოს კანონმდებლობისათვის მნიშვნელოვანია;
14. გამონაკლისების შეზღუდული ჩამონათვალი განსაზღვრული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით (ერთის გარდა) – ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეზღუდვის ყველა კონკრეტული შემთხვევა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. კონვენციის მოცემული ნორმა გაამყარებს საქართველოს კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ დებულებებს;
15. გამონაკლისები განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით, აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებაში და უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვის პროპორციული (ზიანის ტესტი) – მართალია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ყველა შემთხვევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, თუმცა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობა მეტისმეტად ფართოა და ინფორმაციის ძალიან დიდი ნაწილის გასაიდუმლოების შესაძლებლობას იძლევა ისე, რომ შეზღუდვისას არ ხდება იმის შეფასება, აუცილებელია თუ არა შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში და პროპორციულია თუ არა იგი საზოგადოების ინტერესის. მიგვაჩნია, რომ კონვენციაში მოცემული ნორმის გათვალისწინება დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს კანონმდებლობაზე და სახელმწიფო ინსტიტუტებს ინფორმაციის გასაიდუმლოების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთების ვალდებულებას კიდევ ერთხელ გაესმევა ხაზი. რაც შეეხება „ზიანის ტესტს“ საქართველოს კანონმდებლობაში იგი მხოლოდ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით არის გათვალისწინებული და არა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობაში;
16. აბსოლუტური გამონაკლისი: სახელმწიფოების მეთაურებთან კომუნიკაცია – მიგვაჩნია, რომ აბსოლუტური გამორიცხვის, ანუ გარკვეული ტიპის ინფორმაციაზე გამჭვირვალების სტანდარტის გაუვრცელებლობა ნეგატიურად აისახება საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაზე, მითუმეტეს, რომ სახელმწიფო მეთაურების კომუნიკაციის ინფორმაციის თავისუფლების მოქმედების სფეროდან გამორიცხვას იგი არ ითვალისწინებს;
17. საზოგადოებრივი ინტერესის ტესტი გამოყენებულ უნდა იქნას ყველა გამონაკლისის მიმართ (სახელმწიფოს უმაღლესი პირები) – ზიანის ტესტს ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, თუმცა არა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. „ზიანის ტესტი“ გარკვეულწილად გათვალისწინებულია სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონითაც, თუმცა პრაქტიკაში მისი გამოყენება და შეზღუდვის დასაბუთება არასდროს ხდება. კონვენციაში საზოგადოებრივი ინტერესის და ზიანის ტესტის არსებობის ვალდებულება საქართველოს

კანონმდებლობაში დადებითად აისახება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ნაკლები შესაძლებლობა იქნება;

18. დოკუმენტთან ნაწილობრივი დაშვება გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ გამონაკლისები ეხება დოკუმენტის დანარჩენ ნაწილს – საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მოცემული პირდაპირი მითითება იმის თაობაზე, რომ თუკი დახურული დოკუმენტი მოიცავს ღია ინფორმაციასაც, ღია ნაწილთან დაშვება არ უნდა შეიზღუდოს. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის დამუშავების ვალდებულებას ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკაში ხშირად იხურება მთლიანი დოკუმენტები, თუკი ისინი თუნდაც ერთ საიდუმლო მონაცემს შეიცავენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონვენციის მოცემული ნორმა საქართველოს კანონმდებლობაზე დადებითად იმოქმედებს;
19. მოთხოვნა არ უნდა იყოს შეზღუდული ვადებით (განცხადებებზე რეაგირება უნდა იყოს „დაუყოვნებლივი“) – საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოთხოვნაზე დაუყოვნებლივ რეაგირების ვალდებულებას, გამონაკლის შემთხვევაში კი 10 დღიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობას. სასურველია, კონვენციამ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემასთან ერთად გაითვალისწინოს უკიდურესი ვადები, რომელთა ფარგლებში უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონვენციის მოცემული დებულება უარყოფითად აისახება საქართველოს კანონმდებლობაზე;
20. განხილვის უფლება არ უზრუნველყოფს არც სასამართლოში და არც ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებას – ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისას დარღვეული უფლების აღდგენის ერთადერთ შესაძლებლობას ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გასაჩივრების უფლება წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს თავდაპირველად ზემოდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან თანამდებობის პირთან გასაჩივრების ვალდებულებას, ხოლო შემდგომ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა, თუმცა კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ ვალდებულება განცხადებელს მიუთითონ, რომელ უწყებაში არის შესაძლებელი უარის გასაჩივრება. მიგვაჩნია, რომ კონვენციით ნათლად უნდა იყოს გათვალისწინებული ინფორმაციის გაცემაზე უარის ან მოთხოვნის არასათანადოდ დაკმაყოფილების შემთხვევაში გასაჩივრების შესაძლებლობა.
21. კონვენციის მხარეებს ეკისრებათ საჯარო მოხელეებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება – კონვენციის მოცემული დებულება ცალსახად დადებით გავლენას მოახდენს საქართველოში გამჭვირვალების დონეზე. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, არც საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამ სფეროში და არც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ტრენინგებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, ძირითადად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახორციელებს, ამასთან საჯარო სამსახურში კადრების მუდმივი როტაცია უწყვეტი ტრენინგების აუცილებლობას წარმოშობს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონვენციის მოცემული დებულება საქართველოში დადებით შედეგებს გამოიღებს;
22. კონვენციის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება იმდაგვარად მოეპყრან დოკუმენტებს, რომ ისინი ადვილად ხელმისაწვდომი იყოს – საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დოკუმენტების ელექტრონულად დამუშავების ვალდებულებას, რაც ინფორმაციის შენახვის და მოძიების სწრაფი და ეფექტური საშუალებაა. კარგი იქნება, თუკი კონვენციის თანახმად სახელმწიფო ინსტიტუტებს დაეკისრებათ ვალდებულება იმდაგვარად შეინახონ ინფორმაცია,

რომ მათი მოძიება და დაინტერესების შემთხვევაში გაცემა მარტივად იყოს შესაძლებელი;

23. განმარტებითი მემორანდუმი იძლევა შესაძლებლობას, რომ „ზიანისა“ და „საზოგადოებრივი ინტერესის“ ტესტები გამოყენებულ იქნას კანონმდებლის დონეზე, ანუ ნებადართულია აბსოლუტური გამონაკლისები – მიგვანჩნია, რომ კონვენციით ხელშეუხებელი სფეროების დაწესება, რომლებზეც არცერთ შემთხვევაში არ გავრცელდება გამჭვირვალების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობას მნიშვნელოვნად დააზიანებს. „ზიანისა“ და „საზოგადოებრივი ინტერესის“ ტესტების იდეიდან გამომდინარე ყოველი კონკრეტული შეზღუდვა ამ ტესტებს უნდა დაექვემდებაროს, შესაბამისად, მიგვანჩნია, რომ ხელშეუხებელი სფეროების არსებობა ტესტების არსებობის იდეასთან მოვა წინააღმდეგობაში;
24. განმარტებითი მემორანდუმი ავიწროვებს დოკუმენტების დეფინიციას, საჯარო მოხელეებისათვის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის უფლების მიცემით, იმ შემთხვევებში, თუკი დოკუმენტი არ არის „მარტივად აღდგენადი“ ან „ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული“ – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად იმ შემთხვევაში, თუკი განცხადებით გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებას და დამუშავებას, საჯარო მოხელეს, ინფორმაციის გაცემისათვის ეძლევა 10 დღიანი ვადა. კონვენციის მოცემული მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, საქართველოს კანონმდებლობით წარმოადგენს არა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საუბევლს, არამედ ინფორმაციის გაცემის 10 დღიანი ვადის გამოყენების საფუძველს. კონვენციის პროექტის აღნიშნული მუხლის მიღება საქართველოში გამჭვირვალების სტანდარტს მნიშვნელოვნად გააუარესებს.